



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია ლაპიაშვილი

წევრები:

თორნიკე შევარდნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მარინა ტარულიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ბელა დურგლიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების დაწესებულების საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	233137370

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი აფენი
საფოსტო ინდექსი	2700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1177?schoolName=
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	apeni2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	598466871

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 27 მაისის MES 1240000582375 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 17 -18 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი. ერთი სასწავლო კორპუსი - ორსართულიანი შენობა, ორი დამხმარე ნაგებობა - საბიბლიოთეკო სივრცე, საპირფარეშოები
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი. ერთი სასწავლო კორპუსი - ორსართულიანი შენობა, ორი დამხმარე ნაგებობა - საბიბლიოთეკო სივრცე, საპირფარეშოები
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი. ერთი სასწავლო კორპუსი - ორსართულიანი შენობა, ორი დამხმარე ნაგებობა - საბიბლიოთეკო სივრცე, საპირფარეშოები

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის 17 და 18 ივნისს სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. რაც შეეხება დაწყებითი საფეხურის ექსპერტს, საგნობრივ ექსპერტებთან ერთად განიხილა გამოგზავნილი მასალა დაწყებითების მიმართულებით, ჩაერთო საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში, მიაწოდა უკუკავშირი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის გამორჩეული მახასიათებლებია : გუნდურობა, თანამშრომლობა, დასაქმებულთა გაზიარებული პასუხისმგებლობა, მზაობა ცვლილებიბასადმი, მაღალი ავტორიტეტი და ნდობა თემში. უნიკალური ნიშა, რითაც გამოირჩევა სკოლა- ეს არის არაფორმალური განათლების განვითარება, საკლუბო მუშაობა, პარტნიორობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან - უნივერსიტეტებთან, სხვა სკოლებთან, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან. სკოლის ერთ-ერთ ოთახში მოწყობილია სკოლის მუზეუმი - გამოფენილია ფოტომასალა და მონაცემები სკოლის არსებობის პერიოდში აქ დასაქმებულ პირთა შესახებ. სკოლის დერეფნები მოხატულია თემატური ნახატებით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 240	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა
		(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

მეტწილ შესაბამისად შეფასდა:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული	სკოლამ უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების თაობაზე დოკუმენტის მოპოვება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში წარმოდგენილი ვადების შესაბამისად (04/02/2024 -04/02/2025)

¹ გარდა მხოლოდ სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი 3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის მოწყობა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში წარმოდგენილი ვადების შესაბამისად (04/01/2024-04/01/2025)
ინდიკატორი 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ უზრუნველყოს მეორე სართულის და საერთო სარგებლობის სივრცეების (საბიბლიოთეკო, კომპიუტერული) ადაპტირება ეტლით მოსარგებლე პირთათვის შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების შესაბამისად (04/20/2024-04/20/2025)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
2.1.2.3	საბუნებისმეტყველო -დაწყებითი საფეხური	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20.04.24- 20.04.25) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.
2.1.2.3	საბუნებისმეტყველო - საბაზო საფეხური	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20.04.24- 20.04.25) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.
2.1.2.3	საბუნებისმეტყველო - საშუალო საფეხური	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20.04.24- 20.04.25) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.



სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სასურველია, სტრატეგიული გეგმა შედგეს არა ნარატიული ტექსტის, არმედ ცხრილის სახით, რაც გააადვილებს მიზნების, შესაბამისი აქტივობებისა და სხვა კომპონენტების თანხვედრის აღმას.
ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ამოცანების ნაწილი არ არის თანხვედრაში შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილ ამოცანებთან. სასურველია. მოიყვანოთ სრულ თანხვედრაში.
ინდიკატორი 1.2.1.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სამოქმედო გეგმის რესურსებისთვის გამოყოფილ სვეტში ჩანაწერი შემოიფარგლება ზოგადი ფრაზებით „არსებული რესურსი“. თითოეული ამ კომპონენტის დეტალური გაწერა უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის მეტ რეალისტურობას. სასურველია, სკოლამ დეტალურად წარმოადგინოს რესურსების ჩამონათვალი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლას მიეცა რჩევა, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ვაკანსიები გამოქვეყნდეს ე hr.gov.ge - ზე
3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.	სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიყვანონ სრულ შესაბამისობაში სამინისტროსთან შეთანხმებულ სკოლის სამტატო განრიგთან.



3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სასურველია, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.	სკოლას მიეცა რჩევა, გააფორმოს ხელშეკრულება სადერატიზაციო სამსახურთან - მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ სკოლის შენობების პროფილაქტიკური დამუშავების ორგანიზებისთვის. ასევე სასურველია, მოხდეს სათანადო მარკირება სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის.



3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლას მიეცა რჩევა, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის შესანახი კარალები გადაიტანოს საერთო სარგებლობის სივრცეებიდან და უზრუნველყოს საარქივო დოკუმენტაციის საარქივო წესით დამუშავება და შენახვა. ასევე სკოლას მიეცა რჩევა, აიყვანოს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი
3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	ბუღალტრისა და საქმის მწარმოებლის სამუშაო სივრცეები გადატანილ იქნას კომპიუტერული ლაბორატორიიდან და მოეწყოს იზოლირებულ სივრცეში, მოსწავლეებისთვის ლაბორატორიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით..
3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	რადგანაც წიგნადი ფონდით სარგებლობას სკოლა უზრუნველყოფს მობილური ბიბლიოთეკით, სასურველია, შეიმუშაოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც იქნება გათვალისწინებული სკოლის აღნიშნული სპეციფიკა, საჭიროებები და შესაძლებლობები, ასევე სასურველია გაეცნოს პრაქტიკას და დაამუშაოს სკოლის კუთვნილებაში არსებული წიგნადი ფონდი სპეციალური საბიბლიოთეკო წესით.
3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	რადგანაც კომპიუტერული ლაბორატორიის ფართით სკოლის მოსწავლეების გარდა სისტემატურად სარგებლობენ საქმის მწარმოებელი და ბუღალტერი, სკოლას მიეცა რჩევა, ციფრულ განვითარების გეგმაში ასახონ სკოლის კონკრეტული საჭიროებების დაძლევის მექანიზმები.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 4.1.1.2	მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;	სკოლას მიეცა რჩევა - მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები განათავსონ სკოლის ვებ-გვერდზე.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა
---------------------	---------------------------	--------------



	(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას ფიზიკური აღზრდა და სპორტი - დაწყებითი, საბაზო, საშუალო.	გამომდინარე იქედან, რომ სკოლას არ აქვს დახურული სპორტული სივრცე, სიძნელეს წარმოადგენს უამინდობის პირობებში მოსწავლეთათვის დაგეგმილი პრაქტიკული სპორტული აქტივობების განხორციელება, თუმცა პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მსგავს სიტუაციაში საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის ისინი ხელმძღვანელობენ თეორიული კომპონენტების გავლით საკლასო სივრცეში, რომელიც ასახული აქვთ კურიკულუმში, ასევე აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სამაგიდო თამაშს თუ სხვ. მისაღებია მათი მზაობა ამ პრობლემის მიმართ, თუმცა არ არის სასურველი ამას ჰქონდეს მუდმივი სახე, რადგან თეორიული კომპონენტის გაგრძელება და შეფასება უნდა მოხდეს პრაქტიკული აქტივობებით, რისთვისაც საჭიროა დახურული სპორტული დარბაზი, აქედან გამომდინარე ეძლევა სკოლას რჩევა, შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს უახლოეს მომავალში სასკოლო სივრცეში დახურული სპორტული ობიექტის არსებობის საკითხი.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო - დაწყებითი საფეხური.	გასათვალისწინებელია, რომ კურიკულუმში აისახოს სტანდარტით განსაზღვრული ყველა თემა, თემაში დამუშავდეს ყველა ცნება და კომპლექსური დავალებები დაეფუძნოს კონტექსტ-მაგალითებს („მე და საზოგადოება“, მე-3 და მე-4, „ჩვენი საქართველო“, მე-5 და მე-6 კლ).
ინდიკატორი 2.1.2.1; ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო - დაწყებითი საფეხური.	კურიკულუმის შემუშავებისას მნიშვნელოვანია სტანდარტით შემოთავაზებული სავალდებულო თემები; კურიკულუმში უნდა აისახოს არა სახელმძღვანელოს თავის დასახელება, არამედ თემა, მაგალითად, „გარემო, რომელშიც ვცხოვრობ“ („მე და საზოგადოება“, მე-3 კლ).



ინდიკატორი 2.1.2.1; ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო - დაწყებითი საფეხური.	გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, საინფორმაციო პოსტერის მომზადება სახელწოდებით „როგორ გამოვიყენებ მიღებულ განათლებას ცხოვრებაში“ („მე და საზოგადოება“, მე-4 კლ).
ინდიკატორი 2.2.2.2	მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო - დაწყებითი საფეხური.	დამატებითი რესურსებში, სადაც წერია „ინტერნეტ-რესურსები“, საჭიროა ბმულის მითითება („მე და საზოგადოება“, მე-3 კლ).
ინდიკატორი 2.1.2.1	საბუნებისმეტყველო-დაწყებითი საფეხური. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მეორე კლასში მეორდება ცნებები, არ არის დაფარული ყველა სამიზნე ცნება.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს საბუნებისმეტყველო-დაწყებითი საფეხური.	ამ მიმართულებით საჭიროა მეტი თვალსაჩინოების გამოყენება და ასახვა კურიკულუმში. ასევე თანდართული ნამუშევარი შეფასებით.
ინდიკატორი 2.2.2.1	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას საბუნებისმეტყველო-დაწყებითი საფეხური.	დაწყებით საფეხურზე კურიკულუმში ჩაშენებულია ტელესკოლის და სხვა ელ. რესურსების ბმულები, რაც მიემართება შესაბამისი თემატიკისკენ. ამასთან, ვინაიდან სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია ისედაც დატვირთულია სხვადასხვა აქტივობებით, უმჯობესია სკოლამ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მიმართულებით შეიმუშაოს შესაბამისი განრიგი ან/და მიდგომა, რომელიც გაზრდის კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების ეფექტურობას საგაკვეთილო პროცესის სრულყოფის მიზნით.



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა - საბაზო საფეხური.	ამავდროულად, შესაძლებელია ტელეფონის ან/და მცირე მოწყობილობის საშუალებით მოსწავლეებს აჩვენონ ის რესურსები, რაც გაწერილია კურიკულუმში რესურსის სახით.
ინდიკატორი 2.1.2.3	ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა - საბაზო საფეხური.	გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების საკითხი განიხილვადეს კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებით („ისტორია“, მე-7 და მე-8 კლ). ასევე საყურადღებოა მაგალითები შედარებისთვის, რომელიც გვაძლევს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას („ისტორია“, მე-8 კლ).
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს საბუნებისმეტყველო - საბაზო საფეხური	ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა - საშუალო საფეხური.	ამ მიმართულებით საჭიროა მეტი თვალსაჩინოების გამოყენება და ასახვა კურიკულუმში. ასევე თანდართული ნამუშევარი შეფასებით.
ინდიკატორი 2.1.2.1; ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო - დაწყებითი საფეხური.	მე-10, მე-11 კლასში სკოლას ჰყავს სსსმ 2 მოსწავლე.

	ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა - საშუალო საფეხური.	
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ქართული ენა და ლიტერატურა - საშუალო საფეხური.	ერთი დაწყებითში, რომლისთვისაც არ არის შედგენილი ინდ. გეგმა, რადგან შეფასება მოხდა მაისში (გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაცია).
ინდიკატორი 2.1.2.1; ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; საბუნებისმეტყველო - საშუალო საფეხური.	გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების საკითხი განიხილებოდა კონტექსტ-მაგალითზე დაფუძნებით („ისტორია“, მე-12 კლ).
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს საბუნებისმეტყველო - საშუალო საფეხური.	კურიკულუმის შემუშავებისას მნიშვნელოვანია სტანდარტით შემოთავაზებული სავალდებულო თემების გათვალისწინება. კურიკულუმში უნდა გაიწეროს არა სახელმძღვანელოს თავის დასახელება, არამედ თემა. მაგალითად, „საქართველო და გარე სამყარო მსოფლიო ომებისა და ცივი ომის პერიოდში“.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია კორესპონდენცია MES 4 24 0000911903 -26/07/2024. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად პირველი



სტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისად, მესამე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისად, მეოთხე სტანდარტი - სულად შესაბამისად, მეორე სტანდარტი - სრულად შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლამ წარმოადგინა სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი (სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5, 19 მარტი 2024 წელი).

სკოლის მოქმედი მისია თავისი შინაარსით შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ვინაიდან მასში დეკლარირებულია ისეთი დებულებები როგორიცაა: 21-ე საუკუნის უნარებით და ეროვნული ღირებულებებით აღჭურვილი პიროვნების აღზრდა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, საქართველოს ინტეგრაციას მსოფლიოში.

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა ახლად შემუშავებული ხედვა. სკოლის წარმომადგენლობასთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ავტორიზაციის ახალი სტანდარტებიდან გამომდინარე, სკოლის დირექციამ საჭიროდ ჩათვალა, გადაიხედოს მოქმედი მისია და შემუშავდეს შესაბამისი ხედვა, რაზეც სკოლამ გაიარა რევიზიის ეტაპები და 2024 წლის მარტის თვიდან ძალაშია აღნიშნული დოკუმენტი.



ვინაიდან სკოლას აქვს წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით დეკლარირებული მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან,

1.1.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს.

სკოლის მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე, სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს, ვინაიდან სკოლის ფილოსოფიაში სკოლა მიზნად ისახავს თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნას მოსწავლეების, პედაგოგებისა და მშობლების თანამშრომლობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია, კარგად შეისწავლოს საკუთარი სასკოლო თემის და ზოგადად საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები, რაც აისახა ფილოსოფიასი. ამასთან, სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია საზოგადოებრივი და თემის პრობლემებისგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის პროცესში სკოლა რთავს საკუთარ საზოგადოებას, რაც აძლიერებს მიკუთვნებულობის განცდას. სასკოლო პროექტებითა თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებით სკოლა თემში წარმოადგენს სოცო კულტურულ სივრცეს.

1.1.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლამ წარმოადგინა სკოლის მოქმედი ფილოსოფია და განმარტა, რომ აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პრაქტიკა, კერძოდ, სკოლის ადმინისტრაციამ ჩამოაყალიბა იდეები, თუ რა უნდა ყოფილიყო სკოლის პრიორიტეტი და ეს იდეები სასკოლო საზოგადოებისთვის გასაცნობად გადასცა სკოლის მისიასა და ხედვაზე მომუშავე ჯგუფს. ჯგუფმა ინტერვიუებით, ანკეტირებით, მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრებით დაადგინა თუ რამდენად ეთანხმებოდნენ სკოლის ადმინისტრაციის მიერ ჩამოყალიბებულ იმ პრიორიტეტებს რაც უნდა გაეთვალისწინებინათ მისიის შემუშავების დროს. შემუშავებული მისია განხილულ იქნა მოსწავლეთა თვითმმართველობის და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, შესათანხმებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოს. მანამდე განხილულ იქნა მრჩეველთა საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - პედაგოგიური. მრჩეველთა და სამეურვეო საბჭოს ოქმები. ასევე, ვიზიტის პერიოდში, წარმოადგინა,

მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომაზე, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების სხდომებზე წარმოებული ანალიზის ამსახველი ოქმები, რაც ადასტურებს, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება. ვიანიდან სკოლამ წარმოადგინა სსკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,

1.1.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მოქმედი მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სკოლის მიერ განხორციელდა საინფორმაციო დაფაზე გამოკვეთით. თუმცა, გაზიარების პროცესი მოიცავს არა მხოლოდ შემუშავებული მისიის ხელმისაწვდომობას, არამედ შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. მოქმედი ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების მიერ ჩატარებული მშობელთა კრებების ოქმებით, პედაგოგიური საბჭოს და მრჩეველთა საბჭოს ოქმები. ვიზიტის დროს სკოლამ სასკოლო ფილოსოფია გააზიარა სკოლის ახლდშექმნილ ვებგვერდზე . სკოლის წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს გაგვაცნეს სოციალურ ქსელებში და ჩატებში საკვანძო საკითხების გაზიარების პრაქტიკა, სადაც არსებობს წერილობითი უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა

1.1.1 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლაში ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე, რომელთან წვდომაც აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და შესაბამისად, საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე , რითაც მეტად იზრდება აღნიშნულის ხელმისაწვდომობა.

1.1.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების



სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“. ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს,

1.1.1 (6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5 (19 მარტი 2024 წელი);
2. სკოლის მისიის , ხედვის, ღირებულებების დოკუმენტი;
3. სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N 2 (11.03.2024);
4. სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1 (11 იანვარი 2024 წ.);
5. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
6. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.*

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი “ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა”, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ. აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოთვლილია სკოლაში მიმდინარე პროცესები (მათ შორის სტრატეგიული დაგეგმვა) და მათი აღწერა და გამოყენება. სტრატეგიული დაგეგმვა, როგორც პროცესი, წარმოდგენილია როგორც ციკლი, რომელიც იწყება გეგმების შემუშავებით, შემდეგ, სკოლის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება, მიღებული შედეგების გათვალისწინებით შედის ცვლილებები (საჭიროების შემთხვევაში) და ციკლის დასასრულს იწყება მზადება ახალი გეგმების შედგენისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია, თუ რა გზას გადის დაწესებულება ნებისმიერი მმართველობითი ციკლის პროცესში. სკოლამ ასევე წარმოადგინა „მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, სადაც დაზუსტებულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები - როგორ ხდება სამუშაო ჯგუფის ფორმირება, ინფორმაციის მოგროვება, დამუშავება, მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, გადახედვა და სხვ. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გაგვიზიარა სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვის პრაქტიკა - მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა.



სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დაზუსტდა სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურები - სკოლა იყენებს გაზიარების რამდენიმე, ალტერნატიულ ან ურთიერთშემავსებელ მექანიზმებს. ამასთან, გაზიარების კონკრეტული მექანიზმის შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორიაზე, ვისთანაც ხდება გაზიარება, მიზნობრიობაზე - რა მიზნით ხდება გაზიარება და ა.შ. გაზიარებისთვის აპრობირებული საკომუნიკაციო არხებია: ელ.ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოც. ქსელი, ვებგვერდი, კომუნიკაციის დისტანციური საშუალებები/პლატფორმები (TEAMS), საერთო ღრუბლოვანი სერვერები

ინდიკატორის 1.2.1.1. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა“, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 08.09.2023 წელს. სკოლის სტრატეგიული გეგმა შედგენილია 7 წლიანი პერიოდისათვის, განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის განმარტებით, დაწესებულებამ ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებაზე მუშაობა დაიწყო რამდენიმე თვით ადრე. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ სკოლის მიერ გაზიარებული პრაქტიკა ადასტურებს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, არსებული მდგომარეობის შეფასების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების, სტრატეგიული მიზნების ფორმულირების დროს მხედველობაში ჰქონდათ წინა პერიოდის მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც უმაღლეს დონეზე დეკლარირებული პრინციპები. სკოლის განახლებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების შემდეგ სასკოლო საზოგადოების მიერ გადაიხედა სტრატეგიული განვითარების მოქმედი გეგმა, ცვლილებების შეტანის საჭიროება არ გამოკვეთილა და აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ფილოსოფიასთან წინააღმდეგობაში არ მოდის სტრატეგიული მიზნები. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 4 მიზანი, რომელიც შესაბამისობაშია მისიასთან, ხოლო ამოცანები შესაბამისია მიზნებთან. სასურველია, დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი კონკრეტული რესურსების ჩამონათვალი. სტრატეგიული გეგმა ჩამოყალიბებულია ნარატივის ფორმით, რაც ართულებს მის აღქმას, თუმცა შინაარსი რელევანტურია.

ინდიკატორის 1.2.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“. აღნიშნულ დოკუმენტში დეკლარირებული სტრატეგიული მიზნები და ამოცანების ნაწილი არ მოდის თანხვერდაში სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილ ამოცანებთან. სკოლის სამოქმედო სამოქმედო

გეგმა შედგენილია ერთი წლისთვის. მასში თავმოყრილია სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მისაღწევად საჭირო ის აქტივობები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაშია შესრულებადი. სამოქმედო გეგმა ემთხვევა სასწავლო წელს (2023-24 ს.წ. სექტემბერი-აგვისტო). სკოლის განმარტებით, ამ პერიოდში ლოგიკურად იწყება და სრულდება სკოლის ბევრი აქტივობა და შესაბამისად, დაგეგმვისა და შეფასების თვალსაზრისით უფრო მოხერხებულია. არწერილი ციკლური პროცესებიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლა ერთი მხრივ ამოდის სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, ხოლო მეორე მხრივ, ითვალისწინებს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს (SWOT-ანალიზის საფუძველზე) და თვითშეფასებას ახდენს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.

ინდიკატორის 1.2.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. *სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, ხოლო რესურსების ჩამონათვალი არის მწირი - შემოიფარგლება ზოგადი ფრაზებით „არსებული რესურსი“. მიგვაჩნია, რომ თითოეული ამ კომპონენტის დეტალური გაწერა უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის მეტ რეალისტურობას. სასურველია, სკოლამ დეტალურად წარმოადგინოს რესურსების ჩამონათვალი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

რადგანაც სამოქმედო გეგმაში ასახულია ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია,

ინდიკატორის 1.2.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. “ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (2023-2024 წელი)
2. „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ (2003 წელი)
3. „სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა“ (08.09.2023 წ)
4. „სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“ (08.09.2023 წ)
5. SWOT -ანალიზი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმის გადახედვის და მონიტორინგისა და შეფასების ფაზებს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა დამატებითი ინსტრუმენტები, საიდანაც ნათლად ჩანს, როგორ და რა მექანიზმებით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება, რა პერიოდულობით და ვის მიერ მოხდება მონიტორინგის განხორციელება, როგორ განხორციელდება შედეგების გათვალისწინება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს და

1.2.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. *მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.*

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება „სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის #2 საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ჯგუფი შექმნის შესახებ“. აღნიშნულ ჯგუფში წარმოდგენილია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლები (პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, დირექცია). სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში არის ასახული მონიტორინგისა და შეფასების მუხლი. ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი ინსტრუმენტების (დაკვირვება, შუალედური და წლიური ანგარიშები) შესაბამისად, ხდება იმის დადგენა თუ როგორ აპირებს სკოლა განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღება და გათვალისწინება. შესაბამისად,

1.2.2(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლას დამტკიცებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის და სკოლის მიერ აღწერილი პრატიკის შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს მათი განხორციელების შედეგების საჯაროობას. ჩანს, თუ როგორ გეგმავს სკოლა მომავალში სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფას - გაერთიანებულ შეხვედრებზე, საინფორმაციო დაფაზე გამოკვრით, სოციალური ქსელის მეშვეობით და სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებით. აღნიშნულიდან გამომდინარე,

1.2.2(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში არის ასახული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, შესაბამისად, ხდება იმის დადგენა, თუ როგორ აპირებს სკოლა განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება შემდგომი განვითარებისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან

ირკვევა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ციკლურია და შეფასებისა და ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი პერიოდის დაგეგმვისთვის. შესაბამისად,

1.2.2(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“
2. ბრძანება „სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის #2 საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ჯგუფი შექმნის შესახებ“

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა განახლებული, სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი . საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი (1), დირექტორის მოადგილე (1) , ბუღალტერი (1), მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი (1), საქმისმწარმოებელი (1), საინფორმაციო მენეჯერი (1), ბიბლიოთეკარი (1), მასწავლებელი (29), ხოლო სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხაში: სკოლის ექთანი (1), დარაჯი (1), დამლაგებელი (2), სპეციალური საგანმანათლებლო პირის ასისტენტი (1), მუშა (1). აღნიშნული პირების ფუნქციები დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-82 , 22/03/2024 „სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის #2 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების დამტკიცების შესახებ“ და ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ თანამდებობრივი ინსტრუქციები გაეცნო თითოეულ თანამშრომელს სკოლის საქმისმწარმოებლის მიერ, რომელსაც თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების ბრძანებით დაევალა ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა. თანამდებობრივ ინსტრუქციაში გამიჯნულია მასწავლებლის ფუნქციები სტატუსების შესაბამისად. ყველა მასწავლებლებთან არის გაფორმებული ხელშეკრულება სტატუსების მიხედვით და ითვალისწინებს სრულყოფილად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს.

თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულია ქვემდებარეობის და ანგარიშვალდებულების სისტემა.

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა გრაფიკული სრუქტურა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების/სტრუქტურების სახით მოქმედებს: დირექცია, ადმინისტრაცია, კათედრა, არასაშტატო ერთეული, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სასურველია, კანონის ზოგადი განათლების შესახებ მიხედვით გამიჯნული სკოლის სტრუქტურული ერთეულები იყოს წარმოდგენილი კანონმდებლობის შესაბამისი სახელწოდებით (მაგ. დისციპლინური კომიტეტი და არა საბჭო) და სქემაზე იყოს წარმოდგენილი ცალკე თვითმმართველ ერთეულებად.

სკოლის წარმომადგენლების განმარტებებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული

უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდებით“.

მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. სკოლას აქვს შემუშავებული უსაფრთხოების წესი. აღნიშნული წესით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის არსებობა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ. ასევე, სკოლის დირექტორის ბრძანებით, გათბობის სეზონზე სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალზე განაწილებულია ცეცხლფარეშის ფუნქცია.

როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რეგარეშე საკითხებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ახსნა-განმარტების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები არის განსაზღვრული და შესაბამისად,

3.1.1(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს

საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ ისინი საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.

სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ერთ შენობაში, რომლებიც განთავსებულია ერთ მისამართზე. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთ ცვლაში. სკოლას ჰყავს ერთი ექთანის, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ცვლის განმავლობაში. სკოლას ჰყავს 1 დარაჯი, რომლის ხელშეკრულებაში წარმოდგენილია მისი მუშაობის განრიგი. სკოლამ ვიზიტის დროს გაგვიზიარა პრაქტიკა, რომელიც დაგეგმილია ფუნქციების შესასრულებლად ისე, რომ ცვლებს შორის დარაჯის დასვენების დრო დაცული იქნას 12 საათიანი შუალედებით, დარაჯის სამუშაო დრო არ აჭარბებდეს კვირაში 48 საათს და არ დაირღვეს შრომის კოდექსის მოთხოვნები. დარაჯებისა და მტუკ-ის დამატებითი ფუნქციები სკოლის გათბობის სისტემის მუშაობასთან დაკავშირებით გაწერილია სკოლის დირექტორის ბრძანებით და არ უშლის ხელს მათი ძირითადი ფუნქციების განხორციელებას.

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმართვას სასწავლო ცვლის მიმდინარეობისას.

სკოლა დაკომპლექტებულია საჭირო კადრით. სკოლის საათობრივი ბადით და სადამრიგებლო აქტივობების განრიგით დგინდება, რომ საათები ოპტიმალურადაა განაწილებული. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების, ანგარიშვალდებულების სასკოლო პრაქტიკით სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორი და მოადგილე პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლებთან დიალოგში ადგენენ მათი ფუნქციების შესაბამისად პროფესიულ საჭიროებებს და გეგმავენ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფენ მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწყვეტ კათედრების მუშაობას.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელიც მოიცავს სკოლის პერსონალის დამატებით ფუნქციებს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, **3.1.1(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-82, 22/03/2024 „სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის #2 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების დამტკიცების შესახებ“;
2. საშტატო განრიგი;
3. სკოლის სტრუქტურა;
4. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
5. ბრძანება N2-89, 25.03.2024წ - სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;
6. „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
7. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

8. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
9. სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, მასწავლებლის საქმიანობის დაწესებისა და შეწყვეტის წესის დებულების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვნის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. მასწავლებლის საქმიანობის დაწესებისა და შეწყვეტის წესის დებულების თანახმად, მასწავლებლის კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ქმედუნარიან პირს, რომელიც აკმაყოფილებს სპეციალურად ამავე წესით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, 2015 წლის 1 იანვრამდე

მოქმედ მასწავლებელს და 2015 წლის 1 ივნისამდე სერტიფიცირებულ პირს. ამავე წესით საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 213 მუხლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად. ვიზიტის პროცესში ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა ბოლო პერიოდში ჩატარებული კონკურსის მასალები, რომლიდანაც დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას გამოცხადებულ ბოლო, ექთნის ვაკანსიასთან მიმართებით მიეცა რჩევა, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ვაკანსიები გამოქვეყნდეს hr.gov.ge -ზე.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. შინაგანაწესის დებულებები შრომის კოდექსთან შესაბამისობაშია.

ინდიკატორის 3.1.2.(1) მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება N2-89 (სოფელი აფენი 25.03.2024წ) “სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ”, სადაც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში გარდა სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული პოზიციებისა, ჩამოთვლილია ისეთი თანამდებობები, რომელიც არ გვხვდება მოქმედ საშტატო ნუსხასა და ტარიფიკაციის სიაში (სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, სკოლის დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის დარგში, სკოლის დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში და სხვ.) სკოლის წარმომდგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული პოზიციები სხვა სახელწოდებებითაა წარმოდგენილი სკოლის დანარჩენ დოკუმენტაციაში. სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიყვანონ სრულ შესაბამისობაში სამინისტროსთან შეთანხმებულ სკოლის საშტატო განრიგთან. სკოლაში მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი.

სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება შემცვლელ მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება. ვინაიდან, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა,

3.1.2(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

“სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ” დადგენილია პერსონალის სამსახურში მიღებისას საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც სკოლის წარმომადგენლებისაგან, ასევე მოწვეული სპეციალისტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტების წარმომადგენლებისგან, სსიპ მასწავლებლის პროცესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებისაგან, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის წარმომადგენლისა და პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლისგან. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, შინაგანაწესის თანახმად, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები

უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. პირად საქმეებში თანამშრომლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ, ასევე სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ნარკოლოგიური აღრიცხვის, პირის მსჯავრდებისა და ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ. შესაბამისად,

3.1.2(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ადგილზე ვიზიტისას პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია როგორც ხელშეკრულებებში, ისე ვაკანსიების განაცხადებში.

სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი “ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა”, სადაც ყველა პოზიციისთვის აქვს გაწერილი ერთიანი მიდგომა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით. ადამიანური რესურსების და პერსონალის მართვის სხვა დოკუმენტებშიც არის წარმოდგენილი მოქმედი საშტატო ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან ექთნის კვალიფიკაცია. თვითშეფასების პერიოდის საშტატო განრიგში ფიგურირებდა ექიმის შტატი. სკოლამ რამდენჯერმე გამოაცხადა ვაკანსია და, რადგანაც ექიმის შესაბამისი კადრით უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა, სამინისტროსთან შეთანხმებულ საშტატო განრიგში ექიმის ნაცვლად განისაზღვრა ექთნის საშტატო ერთეული. ვიზიტის პერიოდში გამოცხადებული ღია კონკურსის საფუძველზე სკოლამ დაასაქმა ექთნის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მხოლოდ ძირითადი, დამხმარე და მმართველობითი პროცესების ეფექტურად წარსამართად, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთნდობისა და სასკოლო საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის გრძნობის გაჩენის თვალსაზრისითაც.

სკოლის პერსონალი აკმაყოფილებდეს სტანდარტებს. მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ სტანდარტებს.

3.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები. შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, კლუბების შექმნაზე, შეიმუშავენ კლასისა და თვითმმართველობის ქცევის წესებს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების პროცესში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად,

3.1.2(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. სკოლამ წარმოადგინა კათედრებისა და სამუშაო ჯგუფების დებულებები და პროექტები, სადაც გაწერილია პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარების გზები, კერძოდ, პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით თანამშრომლობენ სხვა კათედრებთან, უკავშირდებიან და თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტის სხვა სკოლების პედაგოგებთან (გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმები); პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას („კრიტიკული მეგობარი“), ინტეგრირებულ და პროექტ – გაკვეთილებს.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები. სკოლასთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ თანამშრომელთა წახალისება ხდება: მოტივაციის ამაღლების მიზნით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის. სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) სიგელით დაჯილდოება;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი

3.1.2(6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ვაკანსიების საკონკურსო დოკუმენტაცია;
2. დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
3. სკოლის შინაგანაწესი;
4. მუნიციპალიტეტის სკოლებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
5. კათედრების სხდომების ოქმები;
6. პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები;
7. სამეურვეო საბჭოს სხდომების ოქმები;
8. პერსონალის პირადი საქმეები;
9. საშტატო განრიგი;
10. “სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ” ბრძანება;

11. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის ამსახველი დოკუმენტაცია - სკოლის დირექტორის ბრძანებები, კომისიის ოქმები

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესით, სადაც გაწერილია მიზანი, სამოქმედო პრინციპები, შემადგენლობა, ხარისხის ჯგუფის საქმიანობა, ჯგუფის წევრთა მოვალეობები, მათ

მიერ გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. სკოლის განმარტებით, მასწავლებლის შეფასება ხდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას აღწერითი ან ფოკუსირებული დაკვირვების სქემაც. სკოლის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრულია მასწავლებლის სტატუსების მიხედვით გაკვეთილზე დასწრების ინტენსივობა. გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად მასწავლებელს ეძლევა წერილობითი ან ზეპირი განმავითარებელი შეფასება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ უკუკავშირის ხშირად ზეპირადაც იღებენ სკოლის დირექტორისაგან.

გარდა გაკვეთილზე დაკვირვებისა, მასწავლებლის საქმიანობის შეფასება ხორციელდება 4 მიმართულებით: ა) მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი კურიკულუმის შეფასება; ბ) საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასება და მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების) შეფასება; გ) პროფესიული განვითარების მიზნით მასწავლებლის აქტივობების/სტრატეგიების შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა; დ) ხელშეკრულებით, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით და პროფესიული განვითარების სქემით განსაზღვრული პროფესიული აქტივობების შეფასება. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და უკუკავშირის მიცემით. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები ავსებენ დაკვირვების ფორას, მასწავლებლები კი ავსებენ თვითშეფასების ფორმას. დაკვირვებისა და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე დგინდება მასწავლებლის პროფესიული განვითარების საჭიროება.

სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა დოკუმენტი „სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომლის დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტში აღწერილია ადამიანური რესურსების შეფასების მექანიზმები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტშიც, საუბარია მასწავლებლის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებზე, თუმცა არ არის დაზუსტებული, როგორ ხდება სკოლაში დასაქმებული სხვა დანარჩენი პერსონალის შეფასება და საჭიროებების დადგენა. სკოლას მიეცა **რჩევა, შეიმუშაონ სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის მექანიზმები**. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე იყენებენ დაკვირვებას, ანგარიშებს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სკოლამ დოკუმენტშიც დააკონკრეტოს სკოლაში დასაქმებული ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის საქმიანობის შეფასების გამჭირვალე მექანიზმები. ასევე პერსონალის განვითარების სტრატეგია წარმოდგენილია სკოლის შვიდწლიან განვითარების გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ვინაიდან სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები,

3.2.1(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, სხდომის ოქმი, გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა და ფორმა, კოლეგების უკუკავშირების ნიმუშები და მასწავლებლების რეფლექსია. რუბრიკაში განხილულია ჩატარებულ გაკვეთილზე დაკვირვების შედეგები და უკუკავშირი გასაუმჯობესებელ მხარეებზე. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სკოლა ახორციელებს მასწავლებელთა შეფასებას სპეციალური კითხვარების მეშვეობით. გამოკითხვის შედეგად სკოლას შესაძლებლობა აქვს დაადგინოს მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებები და გაუწიონ რეკომენდაცია სხვადასხვა ტრენინგურსებს ან დაგეგმონ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობები. სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს პროფესიული განვითარების ანალიზისა და დაგეგმვის აქტივობებს.

3.2.1(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერული წინსვლის შესაძლებლობას, სკოლის მიერ წარმოდგენილ პერსონალისა და ადამიანური რესურსების განვითარების დოკუმენტებში არის აღწერილი, თუ როგორ ახორციელებს სკოლა პერსონალის კარიერული ზრდისთვის ხელშეწყობას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლის კარიერული ზრდისთვის მიმართავს სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციას მასწავლებლების გადამზადების მოთხოვნით, გარდა ამისა, სკოლის ბიბლიოთეკას დირექცია ამარაგებს მეთოდური ლიტერატურით, რომლითაც სარგებლობენ მასწავლებლები. სხვადასხვა ტრენინგებზე რეგისტრაციის მიზნით სკოლა ინფორმაციას აწვდის მასწავლებლებს. სკოლამ წარმოადგენა შვდწლიანი სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სადაც ჩანს, რომ პროფესიული განვითარების აქტივობებს სკოლა სკოლა გეგმავს არა მხოლოდ მასწავლებლების, არამედ სხვა პერსონალის პროფესიული/კარიერული ზრდის კუთხით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.2.1(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული ახალი თანამშრომლის - სკოლის ექთნის მაგალითზე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახლადდასაქმებულის წარდგენა ხდება კოლექტივის წინაშე, შემდეგ - მასწავლებლის შემთხვევაში - შესაბამის კათედრაზე, სხვა პერსონალის წარდგენა კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, რა დროსაც ახალ თანამშრომელს გააცნობენ სკოლაში მუშაობის სპეციფიკას, დაკავებული პოზიციის სპეციფიკას და სკოლაში დამკვიდრებულ მიდგომებსა და წესებს. საინფორმაციო მენეჯერისა და კათედრის მიერ ხდება ახალი თანამშრომლის გაწვევრიანება სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. ახალ თანამშრომელს ხელშეკრულების გაფორმებამდე გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უწყობს ხელს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

სკოლა ყველანაირად ცდილობს, რომ სკოლაში შექმნას გახსნილი, თანამშრომლობაზე აგებული გარემო, და ამ გარემოში ადვილად მოხდეს მასწავლებელთა ინტეგრაცია. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის აქტივობების ერთ-ერთი მიზანია სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს დაზუსტებული ინტეგრაციის ფორმები, საშუალებები და მექანიზმები დოკუმენტის სახით, პრაქტიკის არსებობა დასტურდება თანამშრომლებთან გასაუბრებით. სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება; სკოლის ციფრული განვითარების გეგმა, რაც აძლევს სკოლას საშუალებას, აქტიურად მიეწოდებოს ყველა საჭირო ინფორმაცია როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური ურთიერთობების ინიციატივები, რაც თავის მხრივ ამტკიცებს თანამშრომელთა ჯანსაღ, კოლეგიალურ პარტნიორობას ფორმალურ საქმიანობაში.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკა, შესაბამისად,

3.2.1(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში. სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მაღლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასტურდება პედაგოგებთან გასაუბრებით. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. პერსონალისა და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტებში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და წახალისების მექანიზმი.

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის წახალისების მექანიზმები.

სკოლის მიერ ჩატარებული საჭიროებების კვლევით დგინდება, რომ მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ, რა სახის დახმარება ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების კუთხით.

ვინაიდან სკოლას აქვს წარმოდგენილი მექანიზმები, თუ როგორ ახორციელებს სკოლაში დასაქმებული მთელი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, შესაბამისად,

3.2.1(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
2. სკოლის დირექტორის ბრძანება “სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ”;
3. დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
4. სკოლის შინაგანაწესი;

5. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
6. სტრატეგიული განვითარების გეგმა
7. სამუშაო ჯგუფებისა და სტრუქტურულ ერთეულების ოქმები.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.

სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი - „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები.

ვიანდაინ სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი,

3.3.1(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აქვს გაწერილი მარეგულირებელ დოკუმენტაციაში, როგორცაა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საქმისწარმოების წესი, პერსონალისა და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვა. დოკუმენტში. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი და კურიკულუმის შემუშავება ასევე მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში.

შესაბამისად, **3.3.1(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, სადაც გაწერილია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. შინაგანაწესის თანახმად, სკოლის დირექცია საჩივარზე რეაგირებას ახდენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“ შესაბამისად.

შინაგანაწესი, სკოლის თანამშრომლებთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ჩანაწერს, რომ მასწავლებელს, აგრეთვე მშობელს და მოსწავლეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის და მასწავლებლის არამართლზომიერი და უკანონო ქმედებები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შინაგანაწესი ასევე ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომების შესახებ გადაწყვეტილების სამეურვეო საბჭოში გასაჩივრებას.

სკოლამ წარმოადგინა და განმარტა შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა, სადაც დეტალურადაა განხილული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების და საჩივრის განხილვის პროცედურები. აღნიშნულიდან გამომდინარე,

3.3.1(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
3. პერსონალისა და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტები
4. შრომითი ხელშეკრულებები
5. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე. სკოლა ატარებს გამოკითხვებს, რომელიც სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალებას აძლევს მიაწოდონ თავიანთი მოსაზრებები, სკოლას კი საშუალება ეძლევა მიიღოს უკუკავშირი და დაგეგმოს გასაუმჯობესებელი ნაბიჯები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმებით დგინდება, რომ სკოლა მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით აცნობს ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ. დირექტორის განმარტებით, მშობელთა ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის მიზნით შექმნილია მშობელთა გაერთიანებები. სკოლა ფეისბუქ გვერდს აქტიურად იყენებს ინფორმაციის განსათავსებლად.

3.3.2(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:

სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ საშუალო საფეხურიდან არჩეული ერთი წარმომადგენელი. ისინი მონაწილეობენ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება და სხვა.

პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებელი. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის, კურიკულუმების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების/საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემჯამებელი დავალებების ანალიზს.

დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭო განიხლავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს. სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.

სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი - სამოქალაქო განათლების, ეკოკლუბი და მშობელთა კლუბი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის კავშირს საზოგადოებასთან და მშობლებთან, კომუნიკაციას თემსა და სკოლას შორის, მონაწილეობს არაფორმალური განათლების განვითარებაში, თანამშრომლობს იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც იზიარებენ სკოლის მისწრაფებებს მოსწავლეებთან მიმართებით. კლუბებს აქვთ დებულებები, სადაც გაწერილია მიზნები და ამოცანები, შემადგენლობა და წევრთა უფლება-მოვალეობები, მოსალოდნელი შედეგები და სამუშაო გეგმა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად,

3.3.2(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კოლეგიალური ორგანოების ოქმები

2. მშობელთა კრებების ოქმები
3. კლუბების დოკუმენტაცია
4. ისგ ჯგუფის დებულება

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში).*

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ემსახურება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ერთ მისამართზე.

სკოლის სასწავლო კორპუსის ძირითადი შენობა ორსართულიანია. სასწავლო კორპუსი გარემონტებულია. ადაპტირებულია პირველი სართული.

სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის შეფასების მიზნით ჩატარდა სკოლის შენობების ვიზუალური დათვალიერება, დირექციისა და ადმინისტრაციული პერსონალის ინტერვიუება და სკოლის დოკუმენტაციის შესწავლა. შედეგად დადგინდა, რომ:



- სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები;
- გამოცემულია და მოქმედებს სკოლის დირექტორის ბრძანება „საგანგებო შტაბის წევრების განსაზღვრის შესახებ“;
- სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
- სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ, შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.
- სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების მდგრადობის დოკუმენტი, თუმცა აქვს წარმოდგენილი მიმართვა შესაბამის სამსახურთან ;
- შენობა-ნაგებობას არ აქვს გავლილი სახანძრო უსაფრთხოების კონტროლი სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურში. თუმცა სკოლას აწარმოებს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხზე წერილობით კომუნიკაციას შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ;
- სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- სკოლის ეზოს ძირითადი ნაწილი მოწესრიგებულია, პერიმეტრი ასფალტირებულია, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე ბალახი გათიბულია;
- სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, გასასვლელებზე არის სპეციალური მანიშნებლები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების თაობაზე დოკუმენტის მოპოვებას გეგმავს 4/02/2025 -მდე პერიოდში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. შესაბამისად

3.4.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

სკოლის დერეფანში გამოკრულია პირველადი დახმარებისა და ცხელი ხაზის ნომრები. სკოლაში არ ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, გადმოეცა კაბინეტის ნაწილობრივი

აღჭურვილობა - შესაბამისი ინვენტარითა და ხელსაწყოებით. მედიკამენტები სკოლას არ გააჩნია. დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პირველადი დახმარების აღმოჩენის რელევანტური მექანიზმები სკოლაში არ არსებობს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ექთნის პოზიციაზე შესაბამისი პირის დასაქმების უზრუნველყოფა. ვიზიტის პერიოდში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანთან გაფორმდა ხელშეკრულება; სამედიცინო კაბინეტის მოწყობის უზრუნველყოფას სკოლა გეგმავს 4/1/2025 -მდე შესაბამისად,

3.4.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

საჯარო სკოლაში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის იანვრის 06/ნ ბრძანება. (აღნიშნული მითითებულია სკოლის შინაგანაწესში) სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო. სკოლა აღჭურვილია უსაფრთხოების კამერებით გარე და შიდა პერიმეტრზე. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა განთავსებულია იზოლირებულ, დაცულ სივრცეში. მის ადმინისტრირებას, სასწავლო პროცესის დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური.

მანდატურებისთვის გამოყოფილია სამუშაო ოთახი შენობის პირველ სართულზე. შენობის დაცვას უზრუნველყოფს დღის დაცვა და ღამის დარაჯი. გამოყოფილია ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის 3.4.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.

სკოლის დირექცია, მასწავლებლები, მანდატურები და სკოლაში დასაქმებული სხვა პირები უზრუნველყოფენ მოსწავლეებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. კლასის დამრიგებლები ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოიყენებს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური ცენტრის მომსახურებას. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ძალადობის შესახებ შეტყობინებაზე უფლებამოსილი პირი.

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს და პროექტებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. აქტიურად თანამშრომლობს მანდატურის სამსახურის თანამშრომლებთან, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოც. • გაკვეთილებისა და დასვენებების პერიოდში სკოლის დერეფანსა და პერიმეტრზე წესრიგს აკვირდებიან მორიგე მასწავლებლები. სკოლას ჰყავს დღის დაცვა და ღამის დარაჯი.

ინდიკატორის 3.4.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

სკოლის ვიზუალური დათვალიერების დროს ექსპერტების ყურადღება მიიპყრო სისუფთავემ და მოწესრიგებულობამ. საყოფაცხოვრებო ქიმიისა და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, თხევადი საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლას ჰყავს ინფრასტრუქტურის დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები, რაც დასტურდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სამუშაო აღწერილობით. სკოლაში ვიზიტის დროს, სველ წერტილებში არ იყო გამოკრული დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი, რაც ახსნეს იმით, რომ სასწავლო წელი. სკოლას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება დასუფთავების სამსახურთან (ნაგვის გატანა), მიეცა რჩევა, გააფორმოს ხელშეკრულება სადერატიზაციო სამსახურთან - მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ სკოლის შენობების პროფილაქტიკური დამუშავების ორგანიზებისთვის. ასევე ექსპერტებმა ურჩიეს, მოხდეს სათანადო მარკირება სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის. სკოლას მარაგში აქვს მცირე რაოდენობის სადეზინფექციო ხსნარები, რაც აიხსნება ბიუჯეტის სიმცირით, თუმცა შესყიდვებით დგინდება, რომ ხდება მომარაგება საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლის ტერიტორია მოვლილი და მოწესრიგებულია.

ინდიკატორის 3.4.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.

სკოლას არ ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, თუმცა სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ აღნიშნულ საკითხზე მუნიციპალიტეტის ფარგლებში მუშაობს ადგილობრივი რესურსცენტრი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული ფუნქცია დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. სკოლაში არსებული პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა საქმისმწარმოებლის პასუხისმგებლობაა. მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. ასევე სკოლას აქვს მშობლებთან შეთანხმება მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ - სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის, სკოლის საინფორმაციო გვერდებზე ფოტო და ვიდეომასალის, მოსწავლის გვარებისა და სახელების გამოქვეყნების მიზნით.

ინდიკატორის 3.4.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება „სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე. სკოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი გამოიყენება სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და ვრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული ყავს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა ჩართულია საქმისმწარმოების ელექტრონულ სისტემაში, ინფორმაცია და შესაბამისად მასზე წვდომა აქვთ უფლებამოსილ პირებს სისტემაში შესვლის სპეციალური პაროლის მეშვეობით. მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება კარადებში, რომელთა ნაწილიც იკეტება, თუმცა, ადგილის დეფიციტის გამო, აღნიშნული კარადები განთავსებულია სამასწავლებლოში. საარქივო დოკუმენტაცია, მათ შორის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეებიც ინახება სამასწავლებლოში განთავსებულ კარადებში. სკოლას ექსპერტებმა მისცეს რჩევა, განეთავსებინათ აღნიშნული დოკუმენტაცია - მასწავლებელთა პირადი საქმეები შეინახონ მეტად იზოლირებულად, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები დაამუშაონ საარქივო წესით, შეინახონ ცალკე ოთახში, წვდომა ჰქონდეს პასუხისმგებელ პირს.

სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ინტერნეტს.

სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდის და ვებ-გვერდის ადმინისტრირებას ახორციელებენ უფლებამოსილი პირები.

ინდიკატორის 3.4.1.7 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიაზრებს სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში მონიტორინგის ჯგუფის შექმნას.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებამ პერიოდულად უნდა შეაფასოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობა მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, მათი გაუმჯობესების მიზნით. სკოლის განმარტებით, შესაძლებელია სკოლის მიერ გამოყენებული იქნეს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები, დაკვირვების სტრუქტურირებული მექანიზმები და სხვა. საჯარო სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება N2-152 (05/04/2024);
2. სკოლის საგანგებო შტაბის წევრების განსაზღვრის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება N1/კ-24 (15.03.2024);
3. „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“;
4. „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“;
5. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

6. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
7. მასწავლებლების მორიგეობის სია;
8. სკოლის დარაჯთან, დამლაგებელთან, სკოლის ექთანთან, საქმისმწარმოებელთან, ისტ-მენეჯერთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
9. ფოტომასალა;
10. სკოლის დირექტორის ბრძანებები;
11. კორესპონდენცია.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- 1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.*

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ერთ შენობაში, ერთ მისამართზე - ერთი სასწავლო კორპუსი და ორი დამხმარე დამხმარე ნაგებობა (სკოლის ბარათის მიხედვით) - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია 54.13.53.244. სკოლის შენობა დაწესებულებას გადმოცემული აქვს სარგებლობის უფლებით (მესაკუთრე - სახელმწიფო).

სკოლის ძირითადი შენობა - სასწავლო კორპუსი , 2 (ორი) სართულიანია. საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერის მიხედვით, სკოლის შენობა განთავსებულია 7553.00 კვ.მ ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობის საერთო ფართის დადგენა ვერ მოხერხდა შიდა აზომვითი ნახაზის არარსებობის გამო. ვიზუალური დათვალიერებითა და ათვლით სასწავლო ფართი შეადგენს არანაკლებ 500 კვ.მ-ს. სკოლის ეზოში განთავსებულია საქვაბე, რომელიც მიშენებულია დამხმარე შენობაზე, სადაც განთავსებულია წიგნებისა და ინვენტარის საცავი (ნაგებობა N2).

სკოლაში სულ 12 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, დირექტორისა და მანდატურების ოთახები და სველი წერტილებია, რომელთაგანაც ყველას აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში ერთადგილიანი მერხები და სკამებია, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარია განთავსებული. სკოლის შენობის გარეთ, საცავში არის განთავსებული საბიბლიოთეკო სივრცე კარადებით და ასევე გამოყოფილია კარადა ლაბორატორიული ინვენტარისთვის. სველი წერტილები განთავსებულია პირველ სართულზე. მათ შორის არის ადაპტირებული სველი წერტილიც. სკოლის შენობის პირველი სართულის ნაწილი ადაპტირებულია შშმ პირთათვის. ერთ შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. სკოლას მიეწოდება ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი. ყველა ოთახში დაყენებულია ფართის შესაბამისი რაოდენობის გამათბობლები. საკლასო ოთახები და დერეფნები აღჭურვილია გაზოდეტექტორებით. სკოლის დამხმარე ნაგებობა (სათავსო ოთახი) მდებარეობს იგივე მისამართზე , ერთ სართულიანია. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი იგივეა.

სკოლის დამხმარე ნაგებობა ძირითადი შენობისაგან იზოლირებულია. სკოლა მას იყენებს ბიბლიოთეკისთვის. აქ არ ფუნქციონირებს სველი წერტილები, არ არის შეყვანილი დენი და გათბობის სისტემა.

მეორე დამხმარე შენობაში ადრე ფუნქციონირებდა სველი წერტილები. სკოლის გარემონტების შემდეგ სველი წერტილების მოწყობა მოხდა ძირითად კორპუსში და აღნიშნული დამხმარე სივრცეების გამოყენება აღარ ხდება.

სკოლის ეზოში არის გარე სპორტული მოედანი, კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის მიერ. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა კორესპონდენცია და მიღება-ჩაბარების აქტი აღნიშნული მოედნის სკოლისთვის გადაცემის თაობაზე. მოედნის გვერდზე არის გადახურული სავარჯიშო სივრცე, აღჭურვილი ტრენაჟორებით. აღნიშნული სივრცეებით სარგებლობა შეუძლიათ უცხო პირებსაც, შესვლა შეიძლება დამატებითი შესასვლელიდან. სკოლის განმართებით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს უცხო პირების შესვლა მოედანზე აკრძალულია, რასაც არეგულირებენ მორიგეები, დღის დაცვა და მანდატურები.

სკოლის კუთვნილებაშია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის და მოსწავლეთა რაოდენობისთვის საჭირო ინვენტარი:

კომპიუტერები, დაფები, ერთადგილიანი მერხები და სხვ.

ინდიკატორის 3.5.1.(1) მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლის შენობაში სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში, მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ მოძრავი ბიბლიოთეკით - სკოლის მიერ ორგანიზებული სერვისით, ასევე გარე სივრცეში არსებული საბიბლიოთეკო საცავით, რომელსაც ემსახურება ბიბლიოთეკარი. მოსწავლეებს შეუძლიათ სარგებლობა ძირითადი კორპუსის მეორე სართულზე მდებარე კომპიუტერული ლაბორატორიით, თუმცა აღნიშნულ ოთახში სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი ინვენტარის გარდა განთავსებულია სკოლის საქმის მწარმოებლისა და ბუღალტრის სამუშაო მაგიდები. რჩება განცდა, რომ მოსწავლეებისთვის ასეთ პირობებში კომპიუტერული ტექნიკის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ძირითადად ხდება პორტატურლი კომპიუტერების ლაბორატორიიდან გატანა და საჭიროებისამებრ, საკლასო ოთახებში გამოყენება. სკოლის განმართებით ეს ხდება სივრცის არარსებობის გამო.

სპორტული დარბაზის, ლაბორატორიისა და რამდენიმე დამხმარე ოთახის მიშენებას სკოლა გეგმავს ახლო მომავალში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით.

3.5.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლის საბიბლიოთეკო სივრცე მოწყობილია სკოლის ეზოში მდებარე დამხმარე შენობაში. შენობა არ არის კეთილმოწყობილი და ადაპტირებული, ბიბლიოთეკა წარმოდგენილია საცავის სახით, სადაც თაროებზე განთავსებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა. სკოლამ გაგვიზიარა მოძრავი ბიბლიოთეკის წარმოების პრაქტიკა - სკოლის დერეფანში განთავსებულია წიგნების კარადა, სადაც პერიოდულად იცვლება წიგნების შემადგენლობა. მოსწავლეებს შეუძლიათ აღნიშნული სერვისით სარგებლობა. გავეცანით ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, სადაც წარმოდგენილია სტანდარტული ტიპური შინაარსი და არ არის გათვალისწინებული სკოლის კონტექსტი. სკოლამ ვერ წარმოადგინა საბიბლიოთეკო კატალოგი, მხატვრული ლიტერატურის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შემთხვევითობის პრინციპით გადავამოწმეთ წარმოდგენილი წიგნები და აღმოჩნდა, რომ უმეტესობა არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკას ემსახურება ბიბლიოთეკარი. სკოლამ წარმოადგინა ინვენტარიზაციის ოქმი, სადაც ბოლო ინვენტარიზაციის დროს აღრიცხულია წიგნადი ფონდის საერთო რაოდენობა. სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც იქნება გათვალისწინებული სკოლის საჭიროებები და შესაძლებლობები და დაამუშაოს სკოლის კუთვნილებაში არსებული წიგნადი ფონდი საბიბლიოთეკო წესით.

3.5.1.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლაში სწავლობს 5 სსსმ მოსწავლე (არ ჰყავთ ეტლით მოსარგებლე), რომლებსაც ემსახურება ერთი სპეცმასწავლებელი და სსსმ მოსწავლის ასისტენტი. სკოლას არ აქვს რესურსოთახი. ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგს და ასისტენს და დეტალურად გაეცნენ მათ საქმიანობას.

სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შენობის შესასვლელში არის პანდუსი, პირველ სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილი, რაც ხელმისაწვდომს ხდის რამდენიმე საკლასო ოთახში ეტლით მოსარგებლეს გადაადგილებას. თუმცა, ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის არ არის

ხელმისაწვდომი სკოლის ყველა სივრცე. კერძოდ, სკოლის მეორე სართული და ეზოში არსებული საბიბლიოთეკო სივრცე. ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც სკოლის მეორე სართულის ადაპტირების უზრუნველყოფა შშმ პირებისთვის დაგეგმილია 4/20/2024 პერიოდისთვის.

შესაბამისად 3.5.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციალ-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კლუბებს და აქტივობებს და ამისთვის იყენებს სკოლის საკლასო ოთახებს, დერეფნებს, სპორტულ მოედანს, სკოლის ეზოს, კაბინეტებს. აქტივობების ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. სკოლის დერეფნები მოხატულია სკოლის მოსწავლეების მიერ. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

ინდიკატორის 3.5.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. ფინანსური დოკუმენტაცია;
3. ინვენტარიზაციის მასალები;
4. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
5. სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, დაფები, სახელმძღვანელოები, სპორტული ინვენტარი და სხვ.);
6. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
7. არაფორმალური აქტივობების ამსახველი მასალა;
8. ფოტომასალა.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.*

სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. სკოლამ წარმოადგინა „ციფრული განვითარების გეგმა“, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ტექნოლოგიების გამოყენებისა და განვითარების მიმდინარე და სამომავლო პროცესები.

ციფრული განვითარების გეგმით აღწერილია სკოლის ახლანდელი ინფრასტრუქტურა და განსაზღვრულია გამოყენების გრაფიკი. სკოლას აქვს 13 პერსონალური და 15 პორტატული კომპიუტერი. 31 პერსონალური კომპიუტერი მიიღო ვიზიტის დროს. მათ განთავსებას აპირებენ საკლასო ოთახებში. ასევე აქვს 3 ვიდეოპროექტორი, 7 მრავალფუნქციური პრინტერი.

საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია . მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია ისტ-ის მასწავლებელი.

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა ყველა საგაკვეთილო პროცესი ტექნიკის დახმარებით განხორციელდეს, სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია.

3.6.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

„სკოლის ციფრული განვითარების გეგმიდან“ და შენობის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ან/და მასწავლებლებს შეუძლიათ სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება სკოლასთან შეთანხმებით, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ და ასევე ტრენინგების ჩასატარებლად, ამავე წესში გაწერილი განრიგის შესაბამისად. კომპიუტერულ ტექნიკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის ისტ-ის მასწავლებელი. ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ საზიარო სივრცეში , კომპიუტერულ ლაბორატორიაში, იყო განთავსებული საქმის მწარმოებლისა და ბუღალტრის სამუშაო მაგიდები. სკოლის განმარტებით, კომპიუტერების ხელმისაწვდომობის მიზნით, იყო შემუშავებული როგორც ადგილზე სარგებლობის, ისე ოთახიდან პორტატული კომპიუტერების გატანის წესი, რითაც რეგულირდება აღნიშნული გარემოება. რადგანაც სკოლის ციფრული განვითარების გეგმაში აღნიშნული თავისებურებები არ იყო გათვალისწინებული, სკოლას მიეცა რჩევა, ციფრული განვითარების გეგმაში აესახათ სკოლის კონკრეტული საჭიროებების დაძლევის მექანიზმები.

3.6.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ციფრული განვითარების გეგმა“;
2. კომპიუტერული ტექნიკის და ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია;
3. ინვენტარიზაციის მასალები;
4. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

5. სკოლის დირექტორის ბრძანება კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებსაც, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმისწარმოების საერთო წესში გაწერილია გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის წესები. კორესპონდენციის ნაწილი მუშავდება ელექტრონულად, ნაწილის დამუშავება ხდება მატერიალურად, რისთვისაც იწარმოება საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. შემოსული და გასული კორესპონდენცია მუშავდება ელექტრონულად. სკოლამ წარმოადგინა დამუშავებული კორესპონდენციის ელექტრონული რეესტრი.

სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესი აზუსტებდეს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, დავალებების შესრულების კონტროლი და გაგზავნა, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი და ა.შ.

დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები არის დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, მათი სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი.

3.6.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (EFLOW) საშუალებით. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: apeni2@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. ასევე, დაწესებულებაში გამოიყენება ელ.ფოსტა და ღრუბლოვანი სივრცეები (Google drive, office 365) თანამშრომლობისა და ეფექტური კომუნიკაციის ხელშესაწყობად. აქ ტვირთავენ მასწავლებლები თავიანთ დოკუმენტაციას, პროფესიულ საქალაქეებს, კურიკულუმებს.

3.6.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე.

3.6.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრამდე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემის

ანგარიშის წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრსა და პარლამენტს, უზრუნველყოფს აღნიშნული ანგარიშის „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნებას.

3.6.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის საქმისწარმოების წესი
2. სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, გასული/შემოსული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი);
3. Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისა და წარმომადგენლებთან გასაუბრებით ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სკოლის ვებ-გვერდი დამზადებულია და მოქმედია, სადაც განთავსებულია პირველადი ინფორმაცია.

სკოლა საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას ასევე წარმატებით ახორციელებს სოციალურ ქსელში (FACEBOOK.COM) შექმნილი სკოლის გვერდის საშუალებით.

გვერდებზე განთავსებულია სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონის ნომერი და ელ.ფოსტის მისამართი, რისი გამოყენებითაც შესაძლებელია დაწესებულებასთან კომუნიკაციის მიზნით შეტყობინების გაგზავნა.

საზოგადოებასთან კომუნიკაცია ასევე ხორციელდება სხვა არხებით: იმართება ღია კარის დღეები, განსაზღვრულია სკოლაში ვიზიტის დღე.

ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

დაწესებულებამ წარმოადგინა საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი, სკოლის განმარტებით აღნიშნული წესი არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორცაა, მაგალითად, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი/მექანიზმი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

ინდიკატორის 3.6.3.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი და სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სწორი და დროული ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს

მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ამ ეტაპზე სკოლა ვებ-გვერდის გარდა იყენებს სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით ჩანს, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან.

ინდიკატორის 3.6.3.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლა გეგმავს ხარისხის მართვის დოკუმენტით გაწერილი რეგულაციების განხორციელებას, რომელშიც ასახულია სკოლის მიერ ინფორმაციის სხვადასხვა საკომუნიკაციო არხიდან მოპოვების, დამუშავებისა და გამოყენების ზოგადი პროცედურები საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სკოლა აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს სასკოლო საზოგადოების აზრის/შეხედულებების გამოსაკვლევად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ კითხვარების ნიმუშებს, რომლითაც ხორციელდებოდა გამოკითხვა. შემდგომი ეტაპია - კითხვარების დამუშავება და ტენდენციების გამოკვეთა, რის საფუძველზე განხორციელდება შესაბამისი ინტერვენციები.

3.6.3.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

სკოლა ახორციელებს სწავლებას სახელმწიფო (ქართულ) ენაზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge, რომლის დათვალიერებითაც ირკვევა, რომ დღეისათვის განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულად.

ინდიკატორის მოთხოვნა 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის მოქმედ ვებ-გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: ზოგადი მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სკოლის სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო), პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები, სასსკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური ანგარიში და სხვ. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს, შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებ-გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/1177?schoolName=>
2. სკოლის და კლასების ფეისბუქ-გვერდები;
3. ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელებას.*

სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის მოქმედი და საპროგნოზო ბიუჯეტი. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექთნის თანამდებობრივ სარგოს, სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. სკოლას ეკონომიკური საქმიანობიდან არ აქვს თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს.

3.7.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ ტექნიკური კოორდინატორის მიმართვა, რომელსაც კათედრები აწვდიან ინფორმაციას მათთვის საჭირო ინვენტარის თაობაზე. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. სკოლაში მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი სისტემატურად მიმდინარეობს, ხდება მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება. წარმოებს ანგარიში სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ.

3.7.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სკოლის 2024 წლის ბიუჯეტი და მასში შესული ცვლილებები;
- სკოლის 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმები ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სკოლის დირექტორის ბრძანება - „სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის დირექტორის ფინანსური ანგარიში
- შემოსავალ-გასავლის უწყისები

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სსიპ სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს და განსაზღვრავს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტიებს. დოკუმენტში კონცეპტუალიზებულია როგორც მოსწავლის უფლება-მოვალეობები, ისე მათი მხრიდან დარღვევების ჩადენის შემთხვევაში მოქმედი დეტალური პროცედურები. შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ დისციპლინური დევნა ხორციელდება მხოლოდ შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მსგავსი დევნის შემთხვევაში, სკოლას ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომ მოსწავლეს განემარტოს მის მიერ ჩადენილი გადაცდომის არსი და ხაზგასმულია, რომ მსგავსი დევნა ხორციელდება მხოლოდ სასკოლო დროს/სივრცეში ჩადენილი ქმედებების მიმართ (გარდა იმ ქმედებისა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ზიანს აყენებს სკოლის ან/და მოსწავლის ინტერესებს). ამასთან, შინაგანაწესის მე-16 მუხლით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები. შინაგანაწესი თანაბრად არეგულირებს როგორც მოსწავლის/მოსწავლეების მხრიდან სხვა მოსწავლის/მოსწავლეების მიმართ ჩადენილ უფლებების დარღვევის შემთხვევებს, ისე სკოლის თანამშრომლის მხრიდან მოსწავლის წინააღმდეგ განხორციელებულ შესაძლო უფლების დარღვევას. მსგავსი შემთხვევების დროს, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება ადმინისტრაციული წარმოება და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი. სკოლაში არსებობს გასაჩივრების პროცედურები, წესები და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ განსაზღვრავს სკოლაში უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის გარემოებებს, ხოლო მოსწავლეთა ჯანმრთელობის უფლების რეალიზებას ახორციელებს სკოლაში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის მხრიდან მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობისა და გაზიარების მექანიზმები განსაზღვრულია როგორც შინაგანაწესში, ისე სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და სხვა დოკუმენტებში. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ამასთან, „შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილებების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა“.

მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ მშობელთა კრებებზე გარდა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების თუ საკლასო პრაქტიკების განხილვისა, მშობლებთან პერიოდულად განიხილავენ სხვადასხვა რეგულაციას - კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტი (შინაგანაწესი) განთავსებულია სკოლის ძირითად ფლიგელში, თვალსაჩინო ადგილას, რაც ხელს უწყობს მის ხელმისაწვდომობასა და დაინტერესებული პირის/პირების მხრიდან მისი გაცნობის შესაძლებლობას. ამასთან, მოსწავლეთა სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში წარმოდგენილი მოსწავლეების არსებობა (თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის არის სამეურვეო საბჭოს სრულუფლებიანი წევრი და დისციპლინურ კომიტეტში წარმოდგენილი მოსწავლეები) ხელს უწყობს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობასა და გაზიარებას (ამ შემთხვევაში, მოსწავლეებში). სკოლის ვებ-გვერდი არსებობს და ფორმირების პროცესშია, სკოლას მიეცა შემდგომი რჩევა ვებ-გვერდის სრულყოფის მიზნით, მათ შორის მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების განთავსების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სსიპ სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის მხრიდან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6¹ პუნქტის შესაბამისად, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ყოველწლიურად ფორმდება ხელშეკრულება. სკოლის მხრიდან წინასწარ წარმოდგენილ ხელშეკრულებების ნიმუშებში და ასევე, ავტორიზაციის ვიზიტის ექსპერტების მხრიდან ადგილზე გაცნობილ ნიმუშებში ჩანს, რომ დეტალურადაა გაწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, ასევე პერსონალური მონაცემების დაცვისა და გამოყენების პირობა და ზოგადი ქცევის წესი/წესები. ხელშეკრულების პირობებზე თანხმობას მოსწავლე/მისი კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს ხელმოწერით, ხოლო ხელშეკრულების ერთი ასლი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მეორე კი ინახება სკოლაში, პასუხისმგებელი პირის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შინაგანაწესი;

- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- გასაჩივრების პროცედურები და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული შინაგანაწესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;*

სსიპ სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული “მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი”, სადაც გაწერილია გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ „სადამრიგებლო პროგრამაში“ განსაზღვრულია დამრიგებლის შესასრულებელი სამუშაოს შინაარსი, მათ შორის დამრიგებლის მხრიდან დაინტერესებული პირებისთვის რიგი ინფორმაციის მიწოდება (როგორ ინტერვიუებისას დადგინდა, მშობელთა კრების ფორმატში დამრიგებლები მშობლებს ინფორმაციას აწვდიან მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების, მობილობის და საფეხურის დაძლევის პროცედურების შესახებ). ამასთან, სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად, ხოლო მობილობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანების მიხედვით. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამის ვადებში. პირველ ეტაპზე ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, მეორე ეტაპზე ირიცხებიან ის მოსწავლეები, რომელთა და-ძმა სწავლობს აღნიშნულ სკოლაში, ხოლო მესამე ეტაპზე ყველა სხვა სასკოლო ასაკის მოსწავლე. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ გაცდენების გამო სტატუსის შეჩერების პრევენციის მიმართულებით დამრიგებლები წინასწარ აწვდიან ინფორმაციას მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ამასთან, სკოლაში არსებობს დირექტორის მიერ შექმნილი ისგ ჯგუფები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლაში არსებული პრაქტიკა, სკოლის დაცული მონაცემები და მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. სკოლაში გამოცემულია შესაბამისი ბრძანებები. სკოლაში ვიზიტის დროს გადამოწმდა სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს სკოლის მხრიდან ქმედებების კანონმდებლობასთან შესაბამისობას. მშობელთა განცხადებები, სტატუსის შეჩერების ბრძანება, ჩარიცხვის ბრძანებები, საფეხურის დაძლევის შესახებ პედაგოგის ოქმები, პირველ კლასში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, ბრძანება სტატუსის დაძლევის შესახებ, მოსწავლეების პედაგოგიურ საბჭოს შესაბამისი ოქმები მიემართება 4.1.2.2. ინდიკატორის მოთხოვნებს. მოსწავლის სხვა სკოლიდან მობილობა ხორციელდება ბრძანება N04/ნ-ის შესაბამისად, ხოლო ესგ-ის 35-ე მუხლის მიხედვით წარიმართება კლასისა და საფეხურის დაძლევის ქმედებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლაში არსებობს სხვადასხვა წრეები, რომელთა შესახებ ინფორმაციას სკოლა ავრცელებს სხვადასხვა გზით. ამ ეტაპზე სკოლის ვებ-გვერდი დაუსრულებელ მდგომარეობაშია, შესაბამისად მსგავსი ინფორმაცია ვრცელდება სხვა გზებით, მაგ. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული საინფორმაციო მასალებით თუ სხვ. სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებულ დამატებით მომსახურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები თუ საკლუბო საქმიანობა. წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ პირველადი ავტორიზაციის ეტაპისთვის სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებლებში ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული, რასაც თავის მხრივ, მასწავლებლები მოსწავლეებს უზიარებენ. ამასთან განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების შესახებ ინფორმაცია მუდმივად თავსდება სკოლის Facebook ჯგუფში, ნაწილის შესახებ ინფორმაცია კი განთავსებულია მატერიალურადაც, სკოლის შიდა სივრცეებში. ამდენად, ინდიკატორის შესაბამისი ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და ღიაა. სკოლა გეგმავს მსგავსი ინფორმაცია განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზეც, რომელიც უკვე ფუნქციონირებს, თუმცა საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- “მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი”
- სადამრიგებლო პროგრამა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული შეხვედრების ბმული;
- სკოლის შინაგანაწესი;
- გამოცემული ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ;

- სკოლის Facebook გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;

სსიპ სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლაში მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიმართულებით დამტკიცებულია „სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ“. როგორც აღნიშნული დოკუმენტის შინაარსმა, ისე ავტორიზაციის ვიზიტის მიმდინარეობისას ჩატარებულმა მონაცემებმა ცხადყო მოსწავლეთა ადაპტაციის მიმართულებით ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს კლასის დამრიგებელი. სკოლის წარმომადგენლები აღწერდნენ უშუალოდ პროცესს და კონკრეტულ მაგალითებს, რომელიც პრაქტიკაში მოსწავლის ადაპტაციის პროცესს ასახავდა. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა და დამრიგებლის ფუნქციების შესაბამისად სკოლაში ჩარიცხული ახალი მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს შესაბამის ინტერვენციებს, რაც მოიცავს მოსწავლის პირადი საქმის/საქმეების დეტალურ შესწავლას, მოსწავლის აკადემიური მიღწევების, პიროვნული მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის შესწავლას და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრებს. სკოლა და მისი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული აქტიურად მუშაობს ბულინგის პრევენციის მიმართულებით, რაც ასევე შეგვიძლია სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა ერთ-ერთ ნაბიჯად მივიჩნიოთ. დამოუკიდებლად შეგვიძლია ვახსენოთ სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესი, რომელშიც დამრიგებლებთან ერთად გარდა აქტიურად არიან ჩართულები სპეციალური მასწავლებლები, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და ასისტენტები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სსიპ სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლაში დამტკიცებულია მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას, დაამყაროს კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრთან. მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობად სკოლა აქტიურად იყენებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომელიც არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა. ამასთან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება. სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ „ადაპტაციის სახეებია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული

სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა.“ ამასთან, სკოლა მოსწავლის სხვა სკოლიდან გადმოსვლის ან პირველ კლასში ჩარიცხვის დროს მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც 4.2.1.1. ინდიკატორიშიც აღვნიშნეთ, მოსწავლეთა ადაპტაციის მიმართულებით ერთ-ერთ საკვანძო როლს ასრულებს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებისა და სხვა მახასიათებლების შესახებ. ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

მოსწავლეს სკოლა დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების მიმართულებით. სკოლის მიერ შემუშავებულ და შემდგომ პედაგოგსა და სამეურვეო საბჭოზე განხილულ სასკოლო სასწავლო გეგმაში წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ქმნის სსსმ მოსწავლისათვის ისგ ჯგუფს და შესაბამის ინდ. გეგმებს. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით „თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე“. ამასთან, სსიპ სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლაში ტარდება შემდეგი ტიპის გამოცდები: ა) სემესტრული გამოცდა; ბ) წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა; გ) საშემოდგომო გამოცდა; დ) ექსტერნატის გამოცდა. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს: პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება აკადემიური მიღწევების, ჩამორჩენის, გამოწვევების თუ სხვადასხვა დიგანოსტიკური შეფასებების შედეგების შესახებ. ამდენად,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ზოგადი განათლების სისტემაში არსებული რეგულაციებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეებს 30% და მეტის გაცდენის შემთხვევაში ექსტერნატის გამოცდა. მსგავსი შემთხვევების პრევენციისთვის, სსიპ სოფელ აფენის N2 საჯარო სკოლაში კლასის დამრიგებლები მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს წინასწარ აცნობენ, თუ გაცდენების რაოდენობა დაშვებულზე მეტ ნიშნულს უახლოვდება. ამასთან, ექსტერნატის ან/და საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში, რომლის დეტალური პროცედურები და ასევე, მხარდამჭერი მექანიზმები სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაშია გაწერილი, მოსწავლეებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია, როგორც შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით, ისე ვადების შესახებ. სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლების უფლება, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. ამისთვის სკოლას უნდა ჰქონდეს საჩივრების მიუქვერდომი და დამოუკიდებელი ეფექტიანი საშუალება. სკოლაში არსებობს გასაჩივრების მექანიზმები, საჩივრების განმხილველი ორგანოს წევრები არიან სკოლის დირექტორი, სამეურვეო საბჭო ან სკოლის დისციპლინური კომიტეტი. თავის მხრივ, მოსწავლეები წარმოადგენენ სხვადასხვა ერთეულის (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი) სრულუფლებიან წევრებს, რაც მათი უფლებების დაცვის კიდევ ერთი წინაპირობაა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლა გამორჩეულად აქტიურია სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ პროექტებსა და აქტივობებში, რითაც კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ თანამონაწილეობითი პრინციპით იგეგმება მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები. მსგავსი ტიპის ღონისძიებები/აქტივობები ხორციელდება კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით. მაგ. სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს დადგენილს საერთო ზოგადსაგანმანათლებლო რეგულაციას თუ სხვ. პროექტების და არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლაში დანერგილია სხვადასხვა ტიპის, ფორმისა და მასშტაბის პროექტი:

- თვითმმართველობის მონაწილეობით ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „ლოგოსი“, რომლის პარტნიორია USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა. ამავე ორგანიზაციის ეგიდით სკოლამ მონაწილეობა მიიღო ფიზნეს ფორუმში, სხვადასხვა სემესტრულ და წლიურ შეხვედრაში, განახორციელეს პროექტი „საზგაო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლება - ქვეითთა გადასასვლელი სკოლის წინ“;
- სამოქალაქო განათლების კლუბს თანამშრომლობა აქვს დამყარებული სკოლის გარეთ - გივი ზალდასტანიშვილის ქართულ ამერიკულ აკადემიასთან;
- სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი „17 მიზნის ელჩი“, რომლის მიზანია მსოფლიო მნიშვნელობის გლობალურ სამოქმედო დღეებში აქტივობების განხორციელება;
- სკოლა გამარჯვებულია გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ გამოცხადებულ სასკოლო კონკურსში „უსაფრთხო გარემო“, რომელშიც მოიპოვეს 1200 \$ ღირებულების გრანტი;
